ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4305212

ნომერი: AR1639448

თარიღი : 28.10.2018

გაცემის თარიღი : 14.12.2018

გაცნობის თარიღი : 17.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგლის , N 46;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მოჰამად ნამდარ პ/ნ 01191025562
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ლიახვის ქუჩა, N 29

ორგანიზაცია:
- შპს დიპლომატ დეველოპერ კოდი: 427732402

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2982023
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 9.12.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მამუკა კაპანაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ი/მ მამუკა კაპანაძე
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 01029014924

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს პეგასი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 200020388
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მოჰამად ნამდარ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01191025562

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1200.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 618.73
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2747.39
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1424.7
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 352.12
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 301.57
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 213.1
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 115.15
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 340.75
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 90130.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 88060.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2070.3
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 29.15
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 25.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.35
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.5 (518 კვ.მ.) - 1151 კვ.მ მიწის ფართობიდან.
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2.1 (2441.75 კვ.მ.) - 1151 კვ.მ მიწის ფართობიდან.
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.3 (364.98 კვ.მ.) - 1151 კვ.მ მიწის ფართობიდან.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:
ა)გათბობა/კონდენცირებისდანადგარების განთავსება თვალსაჩინო ადგილებში დაუშვებელია. საჭიროა აღნიშნული განათავსოთ ან შენობის შიდა სივრცეში, ან შენობის უხილავ ნაწილებში მაგ. ნიშებში. თუ გათბობა/კონდენცირების დანადგარები ეწყობა აივნებზე ისინი უნდა შეიფუთოს. განათავსეთ ერთიანი სისტემით, აღნიშნეთ გეგმებზე,

ფასადებზე და აქსონომეტრიულ ხედებში. დაიტანეთ შესაფუთი მასალის განმარტება. ასევე აჩვენეთ ქვაბების მილები. ბ)გეგმებზე დაიტანეთ სახანძრო ტუმბოები და წყლის რეზერვუარი.

2.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის სქემა საჭიროა ატვირთოთ შემდეგი შემადგენლობით: ტოპოგრაფიულ ძირზე დამუშვებული გენ-გეგმა, სიმაღლის განსაზღვრის ადგილის დატანით და ამ ადგილებში აგებული ჭრილ(ებ)ი; ყველა ნახაზზე: ქუჩ(ებ)ის სრული სიგანის მითითებით; ჭრილზე ღერძულა ხაზისა და ფასადის მაქსიმალური დასაშვები განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის განსაზღვრით/ჩვენებით (ფორმულა H=L/Y); სიმაღლე იანგარიშება სიმაღლის განმსაზღვრელი სქემით და არა სხივით. მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის მაქსიმალური სიმაღლის განსასაზღვრელად იხელმძღვანელეთ მოქმედი კანონმდებლობის 31-ე მუხლით;

3.ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოდგენილი ვიზუალური მხარე საჭიროებს უფრო მეტად დახვეწა–გადამუშავებას, როგორც არქიტექტურულ–მოცულობითი თვალსაზრისით, ისე მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის გადაწყვეტის ნაწილში.

4.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : ვექტორულ ფაილში ცალკე გამოყავით კ-2 კოეფიციენტში საანგარიშო საზაფხულო ფართების კროკები; მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში ვერანდის, აივნის, ლოჯიის იატაკის ზედაპირის ფართობი იანგარიშება 1/3-ით; ტერასის იატაკის ზედაპირის საერთო ფართობი – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის;
ასევე წარმოადგინეთ კ-1, კ-3 კოეფიციენტების კროკები.

5.საინფორმაციო დაფა - ბანერი..: მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, ნებართვის გაცემის თითოეული სტადიზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე.
საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა- ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.
აქედან გამომდინარე, დამატებით, შესაბამის ველში წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან, რომელიც განთავსებული იქნება საპროექტო ტერიტორიის თავლსაჩინო ადგილას.
საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე.
წარმოდგებილია უხარისხო ფოტომასალა.

6.არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: დააკორექტირეთ დადგენილი ხარვეზების შესაბამისად.

7.საჭიროების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით -> სქემის pdf ფაილი: საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს №413 დადგენილებით შევიდა ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში და მოქმედი რედაქციის 47-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას, პროექტის შემადგენელ ერთ-ერთ სავალდებულო დოკუმენტს წარმოადგენს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით.
აღნიშნული მუხლის შესაბამისად, საჭიროა წარმოდგენილი იქნას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო

ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით.

8."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-81 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში. კერძოდ აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 პუნქტის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4 (ოთხი) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 (ხუთი) ლარს.

9.საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ ჩაითვლება მისაღებად რადგან ინფორმაცია ძალიან მწირია და ასევე მასში სასურველია მითითებული იყოს -ქანების მიმართების აზიმუტი; -ქანების დახრის კუთხე, -ქანების სიმძლავრეები; -ხომ არ არის ქანების მოცურების საფრთხე. -ქანების გამოფიტვის ხარისხი;

10.ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: სრულყოფილ საექსპერტო დასკვნასთან ერთად წარმოსადგენია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, წამოდგენილი დიპლომის ასლი ნათლად არ იკითხება. ექსპერტიზის ტექსტი დასახვეწია-დამკვეთის მოთხოვნად დაფიქსირებულია "საინჟინრო-გეოლოგიური" დასკვის მომზადება ერთიდაიგივე ტექსტი მეორდება და არ არის გამახვილებული ყურადღება ძირითად მოთხოვნებზე!

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.